№482 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის და ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთების დეტალური პროექტის დაფინანსების და ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის დაფინანსების შესახებ**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთზე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმართულების შესახებ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის და ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთების დეტალური პროექტების დაფინანსების და ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის დაფინანსების შესახებ.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს:

ა) მსოფლიო ბანკს, „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის დეტალური პროექტის დაფინანსებასთან და ასევე აღნიშნულ მონაკვეთზე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის მიზნით, საჭირო დაფინანსების გამოყოფასთან დაკავშირებით;

ბ) აზიის განვითარების ბანკს, „საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1“-ის ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის დეტალური პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**